„კულტურული პროდუქტები ტურიზმისთვის“
ტრენინგები ტრადიციული რეწვის ბიზნესის და დიზაინის სფეროს წარმომადგენლებისთვის
მაისი, 2021

გამოცხადება

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი რეწვის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების და ხელნაკეთი პროდუქციის სფეროში მომუშავე მეწარმეებს იწვევს 4-დღიან ონლაინ ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად.

ტრენინგების თემაა: **„კულტურული პროდუქტები ტურიზმისთვის“** და ხორციელდება ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიმდინარე პროექტების - *„ახალი შესაძლებლობები რეწვის ინდუსტრიის განვითარებისთვის“* - USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით და *„ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა“ (THC)* - შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთობლივი სამოქმედო პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირის მხარდაჭერით.

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს:

- ტურისტული ბაზრის ანალიზი;
- ტრადიციული რეწვა - როგორც ტურისტული რესურსი;
- ტურიზმის ინდუსტრიაზე მორგებული პროდუქციის შექმნის ეტაპები (იდეა, პაკეტის ფორმირება)
- ტურისტული პროდუქტის მარკეტინგის საშუალებები;
- ტურიზმის ინდუსტრიაში პარტნიორების იდენტიფიცირება და კავშირების დამყარება.

ვის შეუძლია მონაწილეობა?

პროგრამაში მონაწილეობა შეგიძლიათ თუ თქვენ ხართ დიზაინერი, ტრადიციული რეწვის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ხელნაკეთი პროდუქციის მეწარმე ან აღნიშნულ სფეროში ბიზნესის დაწყების მსურველი.

მონაწილეობა უფასოა, პროგრამა განხორციელდება **2021 წლის 24, 25, 27 და 28 მაისს** და მოიცავს ოთხ ოთხსაათიან ონლაინ ტრენინგს.

ტრენინგებზე დასწრების მსურველებმა **2021 წლის 22 მაისის ჩათვლით** უნდა შეავსოთ განაცხადის ფორმა ბმულზე: https://bit.ly/3f5o5C1

საკონტაქტო ინფორმაცია:
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
www.gaccgeorgia.org
მის: ნიკო ნიკოლაძის ქ. #7, თბილისი- 0108, საქართველო
ტელ: (+995 32) 293 13 35;
მობ.: +995 599 275 075;
ელ. ფოსტა: nana@gaccgeorgia.org

USAID THE USAID ECONOMIC SECURITY PROGRAM

აღნიშნულ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებას.